საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-51/ნ
2015 წლის 29 ოქტომბერი

ქ. თბილისი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის №107/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის №107/ნ ბრძანებაში (სსმ, 43, 29/03/2007) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის:

1. **პირველი პუნქტის ,,მ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,$მ^1$“ ქვეპუნქტი:**

,,$მ^1$) დროებითი შრომისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის (შემდგომში - საავადმყოფო ფურცელი) დაბეჭდვა/გაცემა;“.

2. **მე-2 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,$ვ^1$“ ქვეპუნქტი:**

,,$ვ^1$) საავადმყოფო ფურცლის დაბეჭდვა/გაცემა შესაბამის ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი — **დავით სერგეენკო**